მოდალობა - Modality - Модальность (ლათ. modus *საზომი, სახე, ხასიათი*)

I. *ვიწრო, ფსიქოლოგიისთვის ტრადიციული მნიშვნელობით:* ხუთი **გარე შეგრძნებიდან** თვითეულის თვისებრიობა, განსხვავებული დანარჩენი ოთხისგან: **ოპტიკურ-მხედველობითი** **მ**, **აკუსტიკურ-სმენითი** **მ**, **ჰაპტურ-კინესთეტიკურ-შეხებითი** **მ**, **გემოს** **მ**, **ყნოსვითი** **მ**. ეს ორი უკანასკნელი იმდენად მჭიდროდაა შეკავშირებული, რომ ხშირად ერთად განიხილება: **გემო-ყნოსვითი** **მ**.

II. *ფართო მნიშვნელობით:* ზოგადად – თვისებრივად მსგავს განცდათა ჯგუფი, რომელიც ასევე თვისებრივად განსხვავდება სხვა ჯგუფებისგან. ამ აზრით **ზოგად ფსიქოლოგიაში** შემდეგი ძირითადი **მ**-ნი გამოიკვეთება: **სენსორულ-შეგრძნებითი, პერცეპტულ-აღქმითი, მოტორული, სენსომოტორული** (ეს მეოთხე პირველი სამის გამაერთიანებელია); **კოგნიტურ**-სააზროვნო, **ვერბალურ**-ენობრივი, **ემოციურ-გრძნობითი, სოციალური, პიროვნული, მოტივაციურ-ვოლიტურ-ნებელობითი.**